ინფორმაცია

**შპს „ნაგუთი 2014-ის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდაზე (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ**

| № | **შენიშვნების და წინადადებების ავტორები** | **შენიშვნების და წინადადებების შინაარსი** | **პასუხი** |
|---|---|---|---|
| 1. | მწვანე ალტერნატივა<br>ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | გზშ ანგარიშის თანახმად, პროექტი გულისხმობს შპს „ნაგუთი 2014“-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს დამატებით ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობას და ექსპლუატაციას. საქმიანობის პროცესში დაგეგმილია შპს ჯორჯიან მანგანეზის სალიცენზიო ტერიტორიებიდან მადნის შემოტანა; ხოლო საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სატვირთო მანქანების ე.წ კრაზების საშუალებით ტრანსპორტირება დასახლებულ პუნქტებზე გამავალი გზების მეშვეობით. ანგარიშის 6.1.5.2 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნარჩენებისა და მადნეულის ტრანსპორტირება მოხდება „გადაფარებულ მდგომარეობაში“. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ტექნოლოგიურ ალტერნატივას; საწარმოში წარმოქმნილი კუდების მართვის საკითხებს, წარმოქმნილი ნარჩენი შლამების მართვის საკითხების დეტალურ აღწერას;<br>ქ. ჭიათურაში და ქალაქის მიმდებარე სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემებია. მოსახლეობა მუდმივად წუხს, რომ სატრანსპორტო მანქანები ტექნიკურად გაუმართავია. ამასთან, მანქანების საბარგულის ე.წ. ბრეზენტით დაფარვა ვერ უზრუნველყოფს ტვირთის (ნედლეულისა და | **შენიშვნა გათვალისწინებულია**. თქვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გათვალისწინებულია სამინისტროს მიერ და ასახულია გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში. კერძოდ, კომპანიას პირობად განესაზღვრა, ნედლეულის, შლამებისა და კუდების ტრანსპორტირება ტექნიკურად გამართული ძარაგადაფარებული ავტოტრანსპორტით და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.<br><br>აგრეთვე კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირებისას ტვირთის გარემოში გაბნევისგან სრული დაცვა;<br><br>ამასთანავე საქმიანობის განმახორციელებელს პირობად განესაზღვრა, მანგანუმის მადნის, მზა პროდუქციის და შლამის ტრანსპორტირებისას, მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვრის და ნარჩენების გავრცელება) მინიმიზაციის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების თავიდან აცილების და ავარიული რისკების შემცირების მიზნით დამატებითი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და სამინისტროში წარმოდგენა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ნარჩენების) სათანადო დაცვას ტრანსპორტიებისას. მწვანე ალტერნატივას თანამშრომლებს საველე გასვლებისას არაერთხელ დაუფიქსირებიათ გადამზიდი სატვირთო მანქანებიდან ნარჩენების გავრცელების შემთხვევები. წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მანქანების მხოლოდ მატერიით გადაფარვა არ არის ტვირთის გარემოში გაბნევისაგან დაცვის ეფექტური გზა. ამიტომ, კომპანიამ როგორც ნარჩენების, ისე ნედლეულის გადასაზიდად დახურული ტიპის სატვირთო მანქანები უნდა გამოიყენოს. | |
| 2. | მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | ქ. ჭიათურაში სამრეწველო და სახიფათო ნარჩენების მართვის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია, რადგან საწარმოო ნარჩენები თითქმის ყველა სოფელში და ჭიათურის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული. გზშ ანგარიშის მიხედვით, საწარმოო პროცესში წარმოქმნილი შლამის განთავსება მოხდება ე. წ „ღურღუმელას შლამსაცავზე“, ხოლო სახიფათო ნარჩენი შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს სანიტარს. თუმცა, დოკუმენტს არ ახლავს არც შპს ჯორჯიან მანგანეზთან და არც შპს სანიტართან შეთანხმების ამსახველი რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ კომპანია ნამდვილად წაიღებს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ შლამს „ღურღუმელას შლამსაცავზე, ხოლო სახიფათო ნარჩენს გადასცემს შპს „სანიტარს““.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში, ჭიათურაში გახსნილი მანგანუმის გადამამუშავებელი საწარმოების სანებართვო დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო ნარჩენების განთავსება ხდება ღურღუმელას შლამსაცავზე. ჩვენი თანამშრომლების ბოლო საველე გასვლისას წინსოფელის მოსახლეობამ კი გვითხრა, რომ დიდი ხანია ღურღუმელას შლამსაცავზე ნარჩენი დასასაწყობებლად არავის მიაქვს. ასევე, სხვადასხვა კომპანიების, მათ შორის ჯორჯიან მანგანეზის | **შენიშვნა გათვალისწინებულია.** გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში კომპანიას პირობად განესაზღვრა, სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციასთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენა.<br>პირობის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია შლამის მართვასთან დაკავშირებით.<br>ასევე, კომპანიას დაევალა, ნედლეულის-მანგანუმის მადნის, მზა პროდუქციის და შლამის ტრანსპორტირების დეტალური მარშრუტებისა და სქემის სამინისტროში წარმოდგენა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | წარმომადგენლები, საჯარო შეხვედრებზე აცხადებენ ხოლმე, რომ ღურღუმელად შლამსაცავი უკვე გადავსებულია და საჭიროა ახალი შლამსაცავის მოწყობა. შესაბამისად, გაურკვეველია კომპანია სად და როგორ მოახდენს შპს ნაგუთი 2014 შლამის განთავსებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | მწვანე ალტერნატივა<br>ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | გზშ ანგარიშში არასრულყოფილად არის წარმოდგენილი მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები. მხოლოდ ორი წინადადებით ახსნილია, რომ „საწარმოში გამოყენებული ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს; მტვრის დონეების აქტიური შემცირება (განსაკუთრებით მშრალ ამინდებში) მანქანების მოძრაობის სიჩქარის შემცირების, ან მტვრის შემამცირებელი სხვა საშუალებებით;“ (გვ. 85) - თუმცა, აღარ არის ახსნილი, რომელი სხვა საშუალებების გამოყენება არის დაგეგმილი.<br>მნიშვნელოვანია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების თავიდან აცილებისა და შემცირების ღონისძიებების ვალდებულება დეტალურად იყოს გაწერილი. | **შენიშვნა გათვალისწინებულია.** სამინისტროს მიერ დადგინდა პირობა, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროში წარმოადგინოს საწარმოს ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, მონიტორინგის წერტილებისა და მონიტორინგის სიხშირის/პერიოდის მითითებით (ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ხმაურის მონიტორინგი დამატებით უახლოესი მოსახლის გათვალისწინებით).<br>ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების თავიდან აცილების და შემცირების მიზნით საქმიანობის განმახორციელებელს დაევალა შემარბილებელი ღონისძიების შემუშავება სამინისტროში წარმოდგენა. |